# ხელშეკრულება № 27/12/1
# ავტოსატრანსპორტო საშუალების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი 27 დეკემბერი 2016 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 21[1] მუხლის საფუძველზე ერთის მხრივ შემსყიდველი – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, წარმოდგენილი თავმჯდომარის თამარ ჟვანიას სახით და მეორეს მხრივ მიმწოდებელი - შპს „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფანი“, წარმოდგენილი დირექტორის მამუკა რევაზიშვილის სახით ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე. (CPV 34100000)

მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს 2016 წელს გამოშვებული Toyota -ს მარკის 1 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება ღირებულებით – 73 912 ლარი (სამოცდაცამეტი ათას ცხრაას თორმეტი ლარი 00 თეთრი) ლარი (იხ. დანართი 3), ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადასცეს მიმწოდებელს მის საკუთრებაში არსებული (იხ. დანართი 3), 1 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება ღირებულებით – 1 500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი (ღირებულება მოცემულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 26 დეკემბრის № 007638816 დასკვნის საფუძველზე) და აუნაზღაუროს მიმწოდებელს ასანაზღაურებელი ფასთასხვაობა 73 912 (სამოცდაცამეტი ათას ცხრაას თორმეტი ლარი 00 თეთრი) და 1 500 ლარს შორის სხვაობა, 72 412 (სამოცდათორმეტი ათას ოთხასთორმეტი ლარი 00 თეთრი) ლარი (შემდგომში ხელშეკრულების ფასი).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

გ) დანართი 1 - მისაწოდებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების კომპლექტაცია;

დ) დანართი 2 - მისაწოდებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების საგარანტიო პირობები.

ე) დანართი 3 – ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა.

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს 2016 წელს გამოშვებული დანართი 3-ით გათვალისწინებული 1 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება მოცემული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადასცეს დანართი 3-ით გათვალისწინებული 1 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება და აუნაზღაუროს მიმწოდებელს მოცემული

ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ თარიღში და ხელშეკრულება ძალაშია 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-6 მუხლის პირველი პუნქტითა და დანართი 2-ით განსაზღვრული საგარანტიო პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულება გაფორმებულია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

შემსყიდველი

ცენტრალური საარჩევნო
კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანია

მიმწოდებელი
შპს „ქარ რენთ ენდ თრეიდ –ინ ქომფანი“-ს
დირექტორი მამუკა რევაზიშვილი

## ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

### მუხლი 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

შემსყიდველი – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, წარმოდგენილი თავმჯდომარის თამარ ჟვანიას სახით (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ, სახელმწიფო ხაზინა. ანგ №200122900, საიდენტიფიკაციო კოდი 203851509) და მიმწოდებელი - შპს „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფანი", წარმოდგენილი დირექტორის მამუკა რევაზიშვილის სახით (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-20 კმ, სს „საქართველოს ბანკი", კოდი BAGAGE22, ა/ა GE17BG0000000262324200, საიდენტიფიკაციო კოდი 404851852)

### მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზნით შემსყიდველი ნიშნავს კოორდინატორს: ცესკოს საფინანსო დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის განყოფილების სპეციალისტი შოთა ბოკუჩავას.
2. კოორდინატორი მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს ახორციელებს ხელშეკრულების მიმდინარეობისას.
3. შემსყიდველი ვალდებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების მიწოდების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ჩაატაროს შემოწმება (ინსპექტირება) შემსყიდველის და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
4. შემსყიდველი ვალდებულია შემოწმების (ინსპექტირება) შედეგები წერილობით სახით დაუყონებლივ აცნობოს მიმწოდებელს დაწუნებული ავტოსატრანსპორტო საშუალების წუნდების მიზეზების მითითებით.
5. შემოწმების (ინსპექტირება) პროცესში მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოიწვიონ დამოუკიდებელი ექსპერტები. დამოუკიდებელი ექსპერტების შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
6. ინსპექტირებისას (შემოწმებისას) გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.
7. დაწუნებული ავტოსატრანსპორტო საშუალების უკან დაბრუნების ტრანსპორტირების ხარჯებს აანაზღაურებს მიმწოდებელი.

### მუხლი 3. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალების მიწოდების და შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაცემის პირობები და ვადები

1. მიმწოდებელი 2017 წლის 28 თებერვლის ჩათვლით მიაწვდის შემსყიდველს საკუთრების უფლებით (დანართი 3) გათვალისწინებულ 1 ერთეულ ავტომანქანას.
2. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების მიწოდება განახორციელოს შემსყიდველის იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ, ხოლო მიმწოდებელზე გადასაცემი ავტოსატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირება განახორციელოს მიმწოდებლის ფაქტიურ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-20 კმ.

3. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის მიწოდებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას თან უნდა ახლდეს სასაქონლო ზედნადები და სანომრე ნიშნები.

4. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნების შესრულების შემდეგ შემსყიდველი მიმწოდებელს გადასცემს დანართით გათვალისწინებულ ავტომანქანას საკუთრების უფლებით.

5. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს მიმწოდებელზე გადასაცემი ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაცემას ხელშეკრულების ფასის კორექტირება განხორციელდეს მერვე მუხლის შესაბამისად.

## მუხლი 4. თანმდევი მომსახურება

შემსყიდველის მიერ მიმწოდებელისათვის გადასაცემი ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო რეგისტრაციის პროცედურების ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

## მუხლი 5. მისაწოდებელი და გადასაცემი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიღება-ჩაბარების წესი

1. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიწოდებას და გადაცემას მხარეები ახდენენ ამ ხელშეკრულების მესამე და მეოთხე მუხლების შესაბამისად.

2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველზე მიწოდებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას თან დაურთოს წინამდებარე ხელშეკრულების მესამე მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

3. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველზე მიწოდებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მიღება-ჩაბარება ხდება მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4. შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული ავტოსატრანსპორტო საშუალების მიღება-ჩაბარება ხდება მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5. მიღება-ჩაბარებას ახდენენ და აქტებს ხელს აწერენ ხელშეკრულების ხელმომწერი ან მათ მიერ უფლებამოსილი პირები.

## მუხლი 6. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველზე მიწოდებული ავტოსატრანსპორტო საშუალების გარანტია

1. მიმწოდებელი აძლევს შემსყიდველს მიწოდებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე სამწლიან გარანტიას (ან 100 000 კმ) და დამატებით ორწლიან (ან 50 000 კმ) გარანტიას ძრავზე, გადაცემათა კოლოფსა და ელექტრო გაყვანილობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან (იხ. დანართი 2 - მისაწოდებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების საგარანტიო პირობები).

2. საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში შემსყიდველი ვალდებულია ჩაუტაროს მიწოდებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს ტექნიკური მომსახურება მიმწოდებლის მიერ მითითებულ სერვისულ ცენტრ(ებ)ში.

## მუხლი 7. ანგარიშსწორების წესი

1. ასანაზღაურებელი ფასთასხვაობის ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება და განხორციელდება ლარებში.

2. ხელშეკრულების ფასს (ასანაზღაურებელ ფასთასხვაობას) შემსყიდველი გადარიცხავს მიმწოდებლის ანგარიშზე წინასწარი ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე, წარდგენიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში.

## მუხლი 8. ფასები
ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის და ფასის შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას.

## მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
1. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში შემსყიდველისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიწოდების ყოველი დაგვიანებული კვირისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 1%-ის ოდენობით.

3. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## მუხლი 10. გამოყენებული სამართალი და სადაო საკითხების გადაწყვეტა
1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

2. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, ხოლო ამ გზით საკითხის მოუგვარებლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით.

## მუხლი 11. ფორს-მაჟორი
1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**მუხლი 12. ინტერესთა კონფლიქტი**

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და კოორდინატორი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერებით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

**მუხლი 13. გადასახადები და დაბეგვრა**

მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს ავტოსატრანსპორტო საშუალების მიწოდებასთან დაკავშირებული გადასახადები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 14. სხვა პირობები**

ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

შემსყიდველი

ცენტრალური საარჩევნო
კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანია

მიმწოდებელი
შპს „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფანი“-ს
დირექტორი მამუკა რევაზიშვილი










| ECIFICATION | | | Suffix 4R | |
|---|---|---|---|---|
| ade name | | | Elegance | |
| gine code | | | 2 AR-FE | |
| mber of cylinders | | | 4 in line | |
| lve mechanism | | | 16 valve DOHC with Dual VVT-i | |
| el injection system | | | Sequential Fuel Injection (SFI) | |
| splacement (cc) | | | 2494 | |
| re & stroke (mm) | | | 90.0 x 98.0 | |
| mpression ratio | | | 10.4 : 1 | |
| ximum output (kW/rpm) | | | (133/6000) | |
| ximum torque (Nm/rpm) | | | 231 Nm/4100 rpm | |
| haust emissions | | | | |
| ro class | | | EURO 4 | |
| rbon monoxide, CO (g/km) | | | 0.131 | |
| drocarbons, THC (g/km) | | | 0.017 | |
| trogen Oxides, Nox (g/km) | | | 0.014 | |
| ise dB(A) | | | 71.4 | |
| RAKES | | | | |
| ont | | | Ventilated discs | |
| ar | | | Solid discs | |
| JSPENSION | | | | |
| ont | | | MacPherson strut | |
| ar | | | Dual link | |
| onvenience | | | | |
| ugh road package | | | rough road + height up (10mm) | |
| spension | | | fr: for 16" /17" tire rr: cur | |
| ld area package | | | europe | |
| vner's manual | | | russian | |
| terior | | | | |
| e & disc wheel | | | 215/60r16 5j os45 al sm | |
| ar side glass | | | uv cut green | |
| n roof & moon roof | | | without | |
| ont exhaust pipe | | | single l4 | |
| haust tail pipe | | | single with diffuser | |
| heel cap | | | center ornament russia | |
| ndshield glass | | | ac green shade + vin rain-s | |
| ont side door glass | | | uv cut green repellent | |
| ck glass | | | green, uv cut | |
| ar window defogger | | | with (heavy with timer) | |
| imper | | | prestige normal | |
| ar bumper | | | prestige | |
| diator grille | | | normal | |
| diator lower grille | | | base | |
| ud guards | | | prestige normal russia (side) | |
| wer back and back door rnish | | | with (plating) | |
| gine mark | | | without | |
| wer door lock | | | d key link auto lc: speed | |
| or outside handle | | | plating + fr for smart | |
| or inside handle | | | plating color | |
| tside rear view mirror | | | colour pwr retract heat with turn indicator | |
| eadlamps | | | | |
| eadlamps | | | 2:hid 2:halogen afs | |
| eadlamp aiming | | | rh aiming (for lhd car) | |
| eadlamp levelling | | | auto | |
| eadlamp cleaner | | | with | |
| ont fog lamps | | | with | |
| ht control system | | | alc + auto cut | |
| ytime running light system | | | with (without off switch ind lamp) | |
| ar combination lamp | | | led (stop/tail) | |
| gh mount stop lamp | | | led, in room | |
| de turn signal lamp | | | with outer mirror | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **terior** | | | | |
| ift lever & knob | | | floor 6a/t leather + wood/grain | |
| ering wheel | | | 3-spoke leather wood/grain | |
| ild protector | | | with | |
| om lamp | | | fr 1 + rr 1 | |
| ve box lamp | | | with | |
| or courtesy lamp | | | with (front door) | |
| nt prsnl lamp | | | with (linked door) + led | |
| r personalisation lamp | | | with | |
| gage room lamp | | | with | |
| minated entry system | | | f/o smart/rl + i/hdl led | |
| side rear view mirror | | | ec mirror | |
| sist grip | | | fr2, rr2 rotation type | |
| at hook | | | with (rr *2) | |
| n visor | | | d+p fabric (mirr., lamp in roof) | |
| n shade | | | without | |
| or trim | | | prestige type | |
| or trim ornament | | | wood grain | |
| or arm rest | | | leather | |
| ckage tray trim & tonneau ver | | | needle punch reclining seat | |
| p holder | | | with (fr 2pcs - rr 2pcs) | |
| or pocket | | | fr:2, rr:2 | |
| center cluster | | | wood grain (foot pkb) | |
| ve box | | | with key + damper | |
| tray | | | fr:1 rr:2 | |
| arette lighter | | | fr1 (with lamp) | |
| r console box | | | with synthetic leather | |
| nt seat | | | normal | |
| r seat | | | 40/20/40 pwr reclining | |
| at material | | | leather | |
| nt headrests | | | vertical (manual) | |
| r headrests | | | vertical x3 | |
| r arm rest | | | with cup holder w/o box | |
| nt seat slide | | | 240mm d&p: power | |
| nt seat reclining | | | power (d&p) | |
| nt seat adjuster | | | d:power p:without | |
| at lumber support | | | with d (power) | |
| at back pocket | | | with (driver + passenger) | |
| **mfort** | | | | |
| ise control | | | with | |
| ering column | | | power tilt & telescopic | |
| ering | | | eps brushless | |
| wer windows | | | with - all auto | |
| gage and back door release | | | smart & lever | |
| y plate | | | smart-master 2 | |
| ermittent wiper | | | timer washer linked + rain sensor | |
| rting system | | | push start (push switch) | |
| cessory connector | | | 12v (dc) rr1 + rr ctr a/r 1 | |
| ering wheel switches | | | audio (high) + mu + tel | |
| eedometer | | | km/h tft | |
| lti info display | | | with 4.2" | |
| at belt warning | | | d: lamp + buzzer | |
| y remind warning | | | with (smart) | |
| sher fluid level warning | | | with | |
| crophone | | | with | |
| dio jack | | | usb*1, vtr (aux) *1 | |
| v and navigation system | | | without | |
| arance & back sonar | | | with | |
| ck monitor | | | with | |
| are tyre | | | grand tire (al wheel) | |
| reless door lock | | | with smart (ab:hz) | |
| at heater | | | with d&p + 2 outer rear seats | |
| sher fluid | | | methanol (full) | |
| gage holding belt | | | with net | |
| **nditioning** | | | | |
| c | | | auto 3 zones (with recirculation) | |
| ean air filter | | | with | |
| nus ion generator | | | nanoe | |
| **udio** | | | | |
| dio | | | display am9k ext bt 6sp | |
| **fety** | | | | |
| ti-theft system | | | immobilizer+alarm | |
| s | | | with pump up ba | |
| c | | | with (with vsc off sw) | |
| r seat belt | | | 3p elr *3 | |
| ild restraint system | | | with (iso-fix*2; tether*2) | |
| s airbag | | | with (d+p+side+csa+d-knee) | |

# TOYOTA CENTER TBILISI

Toyota Authorized Dealer in Georgia

## რას მოიცავს ავტომობილის გარანტია

საგარანტიო პერიოდი იწყება ავტომობილის მიწოდების პირველივე თარიღიდან.
გარანტიის შესრულების ვადა განისაზღვრება 3 წლით ან 100,000 კმ გარბენით, რომელიც უფრო ადრე შესრულდება. გარანტია გულისხმობს ნებისმიერი ნაწილის შეკეთებას ან შეცვლას, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს წუნის ან ხარვეზი მქონე.

ავტომობილის მფოლბელი ვალდებულია შეცვალოს ავტომობილის ძრავის ზეთი და ფილტრი ყოველ 10000 კმ გარბენზე შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი"-ს სერვის ცენტრში.

გარანტია აკუმულატორზე: თავდაპირველად ჩამონტაჟებულ აკუმულატორის გარანტიის მოქმედების ვადა შეადგენს 3 წელს ან 100,000 კმ (რომელიც უფრო ადრე შესრულდება) წყობიდან გამოსული თავდაპირველად ჩამონტაჟებული აკუმულატორი მუშაობის პირველი 2 წლის განმავლობაში (100000კმ-მდე) შეიცვლება უფასოდ თუ აკუმულატორი წყობიდან გამოვა მუშაობის 2 წლის შემდეგ მაგრამ მუშაობის 3 წლის დადგომამდე (100000 კმ-მდე), მისი შეცვლა მოხდება გარანტიის მიხედვით, კლიენტის მიერ ღირებულების 50% გადახდით.

საგარანტიო რემონტი (სათადარიგო ნაწილები და/ან ხელობა) უფასოა.

გარანტია არ ითვალისწინებს ავტომობილის შეკეთებას შემდეგ შემთხვევებში: ავტომობილის არასწორად გამოყენება (რბოლა, ზედმეტად გადატვირთვა), დაუდევრობა, მოდიფიკაცია, თვითნებური ჩარევა, არასწორი რეგულირება და შეკეთება, ავარია ან სხვა ავტომობილის მასალების გამოყენება.

ავტომობილის შენახვის ხარჯების ანაზღაურება ავტომობილის მფლობელის მიერ ხდება შემდეგ შემთხვევებში: ძრავის რეგულირება, გაპოხვა, გაწმენდა და გაპრილება, ფილტრების, საპოხი-გამაგრილებელი ემულსიის, ამნთები სანთლების დნობადი მცველების, საქარე მინის გაცვეთილი გამწმენდების, გაცვეთილი სამუხრუჭე ხუნდებისა დალენტების ან გადაბმულობის გაცვეთილი ხუნდების შეცვლა წარმოადგენს ჩვეულებრივ მომსახურეობას, რომელიც აუცილებელია ყველა ავტომობილისათვის.

სათადარიგო ნაწილები, რომლებზეც გარანტია არ ვრცელდება:
ფილტრები (ზეთის, ჰაერის, საწვავის, კონდინციონერის); ხუნდები; ჰიდრავლიკის ნასოსი; ნათურები; სანთლები; ფარსუნკები (მფრქვევანები); გადაბმულობის დისკი, ქურა, საკისარი; საბურავები; მინის საწმენდები; მდნობადი მცველები, ფრიქციონები (გადაბმულობის ამყოლი და მიმყოლი რგოლი).

ავტომობილი მოიხსნება გარანტიიდან თუ მას ჩაუტარდება ნებისმიერ სახის მომსახურება ტოიოტას არაავტორიზებულ სერვის ცენტრებში.

ასევე არ ვრცელდება უხარისხო საწვავის გამოყენებით გამოწვეულ დეფექტებზე.

2 წლიანი დამატებითი საგარანტიო პერიოდი იწყება 3 წლის ან 100 000 კმ. გარბენის საგარანტიო პერიოდის გასვლისას. დამატებითი 2 წელი ან დამატებით 50 000 კმ გარბენი ვრცელდება ძრავსა გადაცემათა კოლოფსა და ელექტრო გაყვანილობაზე.

(დაწვრილებითი ინფორმაციისათვის საგარანტიო პირობების შესახებ იხილეთ საგარანტიო წიგნაკში)

ირაკლი გურჩიანი, დირექტორი ______________________
შპს ,,ტოიოტა ცენტრი თბილისი"

დანართი 3

| № | მისაწოდებელი ა/მანქანის მარკა, მოდელი | გამოშვების წელი | ღირებულება (ლარი) | მიწოდების ვადა | ჩასაბარებელი ა/მანქანის მარკა, მოდელი | სახ. ნომერი | საიდენ. ნომერი | გამოშვების წელი | საბაზრო ღირებულება (ლარი) | დასამატებელი ფასთასხვაობა (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | Toyota camry | 2016 | 73,912.00 | 28.02.2017 | FORD TRANSIT BUS | MM-545-GG | WF0KXXGBVKJR39889 | 1988 | 1,500.00 | 72,412.00 |